

კონკურსი საია-ს თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრში ანაზღაურების გარეშე თანაშემწეთა/სტაჟიორთა მისაღებად

სამუშაო ადგილი: თბილისი
სამუშაო დატვირთვა: არასრული
განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა: 2020 წლის 3 სექტემბერი

იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშემწედ/სტაჟიორად ყოფნა გულისხმობს, როგორც წესი, 8 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

კონკურსი მიმდინარეობს როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. კონკურსის შედეგად სისხლის სამართლის მიმართულებით შეირჩევა არაუმეტეს 7, ხოლო სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით - არაუმეტეს 20 პირი. კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატები საქმიანობას შეუდგებიან 2020 წლის

ოქტომბრიდან.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იურიდიული ფაკულტეტის/საერთაშორისო სამართლის ბაკალავრიატის მე-3 და ზედა კურსის სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს.

თანაშემწეებს/სტაჟიორების ფუნქციებში ძირითადად შედის:

- იურიდიულ დახმარების ცენტრში მოქალაქეებისაგან შემოსული კითხვა-პასუხების ელექტრონულ პროგრამაში ასახვა და პირად/სატელეფონო კონსულტაციებზე დასწრება;

- სარჩელების, განცხადებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში ადვოკატების დახმარება;

- საკანონმდებლო სიახლეებზე მუშაობა;

- კონკრეტულ საკითხებზე სასამართლო პრაქტიკის მოძიება და გაანალიზება;

- სამართლებრივი ბროშურების შედგენისას იურისტების დახმარება.

კონკურსის შედეგად შერჩეულ პირებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება თანაშემწეთა/სტაჟიორთა უფლება-მოვალეობები.

კონკურსის ეტაპები

კონკურსი მიმდინარეობს ორ ეტაპად:

კონკურსის პირველ ეტაპზე (წერითი გამოცდა) - დაშვებული იქნება კანდიდატი, რომელიც სრულყოფილად გამოაგზავნის შესაბამის დოკუმენტებს. წერით გამოცდაზე კონკურსში მონაწილეებს ევალებათ კაზუსების ამოხსნა სამოქალაქო/ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით, განაცხადში მონაწილის მიერ მითითებული სფეროს მიხედვით.

კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრება) - დაშვებული იქნება ის კანდიდატი, რომელიც წარმატებით გადალახავს პირველ ეტაპს.

განაცხადების მიღება

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ელექტრონულ მეილზე - info@gyla.ge უნდა გამოგზავნოს:

- განაცხადი (იხ. **მიბმული დოკუმენტი**);

- იურისტის დიპლომი ან შესაბამის კურსზე სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ) დასკანერებული სახით.

გთხოვთ, მეილის ”subject" ველში მიუთითოთ თქვენთვის სასურველი სამართლის სფერო (,,სისხლის სამართალი“ ან ,,სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი“).

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2020 წლის 3 სექტემბერი, ღამის 12 საათი. მონაწილეებთან, რომლებიც ხარვეზით გამოგზავნიან დოკუმენტებს, დამატებით დაკავშირება ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით არ მოხდება. *~~ამდენად, არასრულყოფილად წარმოდგენილი ან დაგვიანებით გამოგზავნილი განაცხადები არ იქნება განხილული.~~*

წერითი გამოცდისა და გასაუბრების თარიღები და ფორმატი, ასევე კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება საიტზე - www.gyla.ge.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი - შორენა ლოლაძე.

მისამართი: თბილისი, ჯანსუღ კახიძის ქ. N15

ტელ: (032) 2 93 61 01 (147),

ელ. ფოსტა: loladze@gyla.ge